



თემატური ჯგუფები - „პროფესიული კვალიფიკაციების სისტემა“  
”ხარისხის მართვა პროფესიულ განათლებაში“

გაერთიანებული სხდომის ოქმი №19

20 სექტემბერი, 2012  
თბილისი

თემატური ჯგუფები - „პროფესიული კვალიფიკაციების სისტემა“ და ”ხარისხის მართვა პროფესიულ განათლებაში”

თემატური ჯგუფების გაერთიანებული სხდომის ოქმი №19

თარიღი	ადგილი	დასაწყისი	დასასრული
20 სექტემბერი, 2012	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	15:00	17:00

დღის წესრიგი
1. დღის წესრიგის განხილვა
2. წინა სხდომის ოქმის დამტკიცება
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების 2012 წლის თვითშეფასების ანალიზი
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისა და მომხმარებლების პროფესიული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და პროფესიული სტანდარტების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით დაინტერესებულ მხარეებთან სამუშაო შეხვედრის ორგანიზება

მონაწილეები:			
სახელი, გვარი	დაწესებულება, თანამდებობა	ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი	სტატუსი
მარინა ჟვანია	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი	<a href="mailto:marina.zhvania@eqe.ge">marina.zhvania@eqe.ge</a> 577 27 88 41	წევრი
ლალი შაიშმელაშვილი	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	<a href="mailto:Lali.shaishmelashvili@eqe.ge">Lali.shaishmelashvili@eqe.ge</a>	წევრი

თემატური ჯგუფები - „პროფესიული კვალიფიკაციების სისტემა“ და ”ხარისხის მართვა პროფესიულ განათლებაში”

თემატური ჯგუფების გაერთიანებული სხდომის ოქმი №19

	ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსის მოადგილე	577 27 88 49	
ქეთევან ფანჭულიძე	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის საგანმანათლებლო პროგრამების სამმართველოს უფროსი	<a href="mailto:k.panchulidze@eqe.ge">k.panchulidze@eqe.ge</a> 577 27 88 43	წევრი
ნანი დალაქიშვილი	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის სპეციალისტი	<a href="mailto:nani.dalakishvili@eqe.ge">nani.dalakishvili@eqe.ge</a> 577 17 55 77	წევრი
ნინო კოპალეიშვილი	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი	<a href="mailto:nkopaleishvili@yahoo.com">nkopaleishvili@yahoo.com</a> 577 15 33 01	წევრი
მაია ჩიხლაძე	საზოგადოებრივი კოლეჯი ”პანაცეა”/მოადგილე	<a href="mailto:chikhladzemaia@yahoo.com">chikhladzemaia@yahoo.com</a> 577 74 74 44	წევრი
ნინო ყოჩიშვილი	ევროკომისიის საქართველოს დელეგაციის პროექტების მენეჯერი	<a href="mailto:Nino.kochishvili@eeas.europa.eu">Nino.kochishvili@eeas.europa.eu</a>	მონაწილე
მაკა კორძაძე	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/კოორდინატორი	<a href="mailto:Maka.kordzadze@yahoo.com">Maka.kordzadze@yahoo.com</a> 577 27 88 21	წევრი
გოჩა გოგიტიძე	ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადებისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსი	<a href="mailto:g.s.gogitidze@bsma.edu.ge">g.s.gogitidze@bsma.edu.ge</a> 577 44 24 09	მონაწილე
მარიამ შოშიაშვილი	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს სპეციალისტი	<a href="mailto:Mariam.shoshiashvili@hotmail.com">Mariam.shoshiashvili@hotmail.com</a> 595 48 48 78	მონაწილე
მაია დანელია	სსიპ - პროფესიული კოლეჯი ”მერმისი”/მიმართულების კოორდინატორი	<a href="mailto:Mdanelia01@yahoo.com">Mdanelia01@yahoo.com</a> 577 50 77 37	წევრი
ნანა ნამგალაძე	სსიპ - პროფესიული კოლეჯი ”მერმისი”/ხარისხის მენეჯერი	<a href="mailto:sershot@rumbler.ru">sershot@rumbler.ru</a>	წევრი

თემატური ჯგუფები - „პროფესიული კვალიფიკაციების სისტემა“ და ”ხარისხის მართვა პროფესიულ განათლებაში”

თემატური ჯგუფების გაერთიანებული სხდომის ოქმი №19

		577 95 95 92	
ნინო ჟვანია	ა(ა)იპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი/ხარისხის მენეჯერი	<a href="mailto:Nino.zhvania@iliauni.edu.ge">Nino.zhvania@iliauni.edu.ge</a>	წევრი
		577 55 69 88	
მიხეილ კორძაია	საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია/ვიცე-პრეზიდენტი	<a href="mailto:mishakordzakhia@yahoo.com">mishakordzakhia@yahoo.com</a>	წევრი
		597 18 18 21 599 18 18 25	
კახაბერ ერაძე	საქართველო ბიზნესის აკადემია/რექტორი	<a href="mailto:kakha_ae@yahoo.com">kakha_ae@yahoo.com</a>	წევრი
		595 45 82 88	
შორენა ხუბუნაია	საქართველო ბიზნესის აკადემია/ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი	<a href="mailto:Shorena_999@yahoo.com">Shorena_999@yahoo.com</a>	მონაწილე
		551 97 90 70	
ლელა წიფურია	ა(ა)იპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	<a href="mailto:Lela.tsiphuria@tsu.ge">Lela.tsiphuria@tsu.ge</a>	წევრი
		599 65 49 80	
თეა კვინტრაძე	სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი/დირექტორის მოადგილე	<a href="mailto:tkvintradze@tpdc.ge">tkvintradze@tpdc.ge</a>	წევრი
		577 40 46 51	
კოტე ჩოკორაია	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი	<a href="mailto:kote.chokoraia@ege.ge">kote.chokoraia@ege.ge</a>	წევრი
		577278883	

**შედეგები/კომენტარები/წინადადებები**

**1. დღის წესრიგის განხილვა**

**დასკვნები და ქმედებები:**

დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი დამატებების გარეშე

**2. წინა სხდომების ოქმების დამტკიცება**

**დასკვნები და ქმედებები:**

დამტკიცდეს წინა სხდომების ოქმები - ოქმები თან ერთვის

**3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების 2012 წლის თვითშეფასების ანალიზი**

**რეზიუმე:**

ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა კოტე ჩოკორაიამ დამსწრეებს შეახსენა, რომ „განათლების ხარისხის განვითარების“ შესახებ საქართველოს კანონისა და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების შესაბამისად, ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ცენტრში ყოველწლიურად პირველი მაისიდან 30 ივნისის ჩათვლით წარმოადგინოს თვითშეფასების წლიური ანგარიში.

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებაში 2012 წლის 17 მაისს განხორციელდა ცვლილებები, რომლის თანახმადაც დებულებაში გაჩნდა ახალი მუხლი. კერძოდ მუხლი 30<sup>1</sup>, რომლითაც განისაზღვრა თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენის გზით საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ახალი წესი, კერძოდ:

1. საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენით დაიმატოს აკადემიური უმაღლესი ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები.

2. საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ცენტრში წარმოადგინოს საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, სილაბუსები და ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალზე ელექტრონული ფორმით.

3. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს, ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, ამ დებულებით გათვალისწინებული წესით.

4. საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შემოწმება ხორციელდება ცენტრის მიერ, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

კოტე ჩოკორაიას ინფორმაციით, სხდომაზე წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების თვითშეფასების მონაცემები, კერძოდ, 2012 წლის პირველი მაისისათვის სულ არსებობდა 73 ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება. თვითშეფასების ანგარიში წარმოადგინა ყველა ავტორიზებულმა პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება მოითხოვა სულ 39 სასწავლებელმა. მათ შორის ერთმა დაწესებულებამ ვერ გადაიხადა პროგრამების დამატების საფასური და აღნიშნულ დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი არ განხორციელებულა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებმა სულ 125 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგინეს. ავტორიზაციის საბჭომ 28 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას მისცა 95 პროფესიული პროგრამის განხორციელების ნებართვა. აღნიშნული პროგრამები შეესაბამებოდა ავტორიზაციის სტანდარტებს.

თვითშეფასების ანგარიშით დამატებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება მოიპოვა ოთხმა ზოგადსაგანმანათლებლო (12 პროგრამა) და ოთხმა უმაღლესმა (13 პროგრამა) საგანმანათლებლო დაწესებულებამ.

ათამდე პროფესიულ დაწესებულებას უარი ეთქვა პროგრამების დამატებაზე, რაც ძირითადად ეფუძნებოდა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზებს. ხარვეზების უმრავლესობა საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის დარღვევით იყო გამოწვეული.

ამ ეტაპისათვის თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე, არ მომხდარა დანარჩენი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გადამოწმება, რომლებსაც არ

მოუთხოვიათ პროგრამების დამატება. მათ უმრავლესობას შეადგენს, ის დაწესებულებები, რომელთაც საქმიანობის განხორციელების გაგრძელების მიზნით ავტორიზაცია უნდა გაიარონ 2013-2014 სასწავლო წლის დაწყებამდე.

**(სრული ანალიზი ოქმს თან ერთვის)**

**რეკომენდაციები:**

- სასურველია, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მეტი თანამშრომლობა, რათა ხელი შეეწყოს თვითშეფასების კულტურის განვითარებას შესაბამისი რესურსების (ტრენინგ-კონსულტაციები, მეთოდური მასალები, გამოცდილების გაზიარება) უზრუნველყოფით;
- სასურველია, ცენტრის ხელშეწყობით (სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, სრულყოფილი თვითშეფასების ანგარიშის განხილვა და ვებ-გვერდზე განთავსება) მოხდეს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება, რაც მათ მისცემს გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობას
- აუცილებელია, საგანმანათლებლო დაწესებულებებში განისაზღვროს ხარისხის უზრუნველყოფასა და თვითშეფასების ანგარიშის შევსებაზე პასუხისმგებელი პირები
- სასურველია, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის (როგორც საჯარო, ასევე კერძო) განხორციელდეს ტრენინგები ცენტრის მიერ მომზადებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების გზამკვლევის, ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოსა და ხარისხის მართვაში საგანმანათლებლო/სატრენინგო მოდულის მიხედვით;

**შენიშვნები:**

თვითშეფასების პროცესის დეტალებით დაინტერესდნენ და შეკითხვები დასვეს მათ ჩიხლაძემ, კახაბერ ერადემ, გოჩა გოგიტიძემ, ლელა წიფურიაძე, ნინო ჟვანიამ, ნინო ყოჩიშვილმა, მიხეილ კორძაბიამ. კითხვები ძირითადად ეხებოდა პროგრამის დამატების საფასურს, დასამატებელი პროგრამების დიზაინს და შინაარსის დეტალებს, ექსპერტების მიდგომას პროგრამების შეფასებისას.

**დასკვნები და ქმედებები:**



- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების 2012 წლის თვითშეფასების ანალიზი განსახილველად წარედგინოს ეროვნულ პროფესიულ საბჭოს.
- განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და განათლების აღიარების სამსახურის მიერ დაიგეგმოს ანალიზში ასახული რეკომენდაციების შესაბამისი ღონისძიებები.

#### **4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისა და მომხმარებლების პროფესიული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და პროფესიული სტანდარტების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით დაინტერესებულ მხარეებთან სამუშაო შეხვედრის ორგანიზება**

მარინა ჟვანიაშვილი დამსწრებს გააცნო დეკემბრის თვეში დაგეგმილი დაინტერესებულ მხარეებთან სამუშაო შეხვედრის დღის წესრიგი და მონაწილეთა საორიენტაციო სია. შეხვედრა ჩატარდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ან ერთ-ერთ კოლეჯში, შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ განათლებისა და მეცნიერების და დასაქმების სამინისტროების წარმომადგენლები, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის, დამსაქმებელთა ასოციაციის, მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის, პროფესიული კავშირების გაერთიანების, ასოციაციების და კავშირების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების წარმომადგენლები, ასევე დონორი ორგანიზაციები. დღის წესრიგში შემდეგი საკითხები იგეგმება:

- მისალმება (სამინისტროს და ცენტრის ხელმძღვანელობა)
- პრეზენტაციები:
  - ✓ პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს განვითარება 2010-2012 წლებში
  - ✓ თემატური და დარგობრივი სამუშაო თემატური ჯგუფების საქმიანობა
  - ✓ პროფესიული სტანდარტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა რამოდენიმე სტანდარტისა და პროგრამის მაგალითზე ( ჯანდაცვის სტანდარტები - ლუდუშაურის საავადმყოფო და კოლეჯი პანაცეა)/ პანაცეას წარმომადგენლის პრეზენტაცია, სასტუმრო საქმის პროგრამა - სასტუმრო რედისონი და კოლეჯი იკაროსი/ სასტუმროს წარმომადგენლის პრეზენტაცია, კომპიუტერული ინჟინერიის სტანდარტები - ქარხანა ალგორითმი და კოლეჯი გმსს)/კოლეჯი



**გმსს-ს წარმომადგენლის პრეზენტაცია, საბანკო სტანდარტები და პროგრამები -  
ბანკი პრივატ-ბანკი და საზოგადოებრივი კოლეჯი სბა/კოლეჯ სბა-ს  
წარმომადგენლის პრეზენტაცია**

✓ ცვლილებები პროფესიული განათლების მარეგულირებელ ნორმატიულ დოკუმენტებში

- კითხვები და დიკუსია

**მოსაზრებები და შენიშვნები:**

მოსაზრებები გამოთქვეს ლალი შაიშმელაშვილმა, კახაბერ ერაძემ, მიხეილ კორძახიამ, გოჩა გოგიტიძემ, მათი აზრით დაგეგმილი შეხვედრა ძალიან პროდუქტიული იქნება სისტემაში არსებული კარგი პრაქტიკის გაზიარების თვალსაზრისით და ზოგადად ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესების თაობაზე ინფორმირებულობის გაზრდას.

**დასკვნები და ქმედებები:**

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისა და მომხმარებლების პროფესიული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და პროფესიული სტანდარტების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით დაინტერესებულ მხარეებთან სამუშაო შეხვედრა ჩატარდეს დეკემბრის თვეში წარმოდგენილი დღის წესრიგის მიხედვით.

## 2012 წლის თვითშეფასების პროცესის ანალიზი

განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა შეფასება საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ხორციელდება. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის მიზანია, თითოეულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ასახოს, რამდენად აკმაყოფილებს ავტორიზაციის სტანდარტებს, თუ როგორ განავითარა საგანმანათლებლო საქმიანობა ერთი წლის განმავლობაში და თუ როგორ სურს დაგეგმოს მომავალში საქმიანობა.

„განათლების ხარისხის განვითარების“ შესახებ საქართველოს კანონისა და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების შესაბამისად, ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ცენტრში ყოველწლიურად პირველი მაისიდან 30 ივნისის ჩათვლით წარმოადგინოს თვითშეფასების წლიური ანგარიში.

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებაში 2012 წლის 17 მაისს განხორციელდა ცვლილებები, რომლის თანხმაც დებულებაში გაჩნდა ახალი მუხლი. კერძოდ მუხლი 30<sup>1</sup>, რომლითაც განისაზღვრა თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენის გზით საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ახალი წესი, კერძოდ:

1. საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენით დაიმატოს აკადემიური უმაღლესი ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები.

2. საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ცენტრში წარმოადგინოს საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, სილაბუსები და ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალზე

ელექტრონული ფორმით.

3. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს, ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, ამ დებულებით გათვალისწინებული წესით.

4. საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შემოწმება ხორციელდება ცენტრის მიერ, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შექმნილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

2012 წლის პირველი მაისისათვის სულ არსებობდა 73 ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება. თვითშეფასების ანგარიში წარმოადგინა ყველა ავტორიზებულმა პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება მოითხოვა სულ 39 სასწავლებელმა. მათ შორის იყო შემთხვევა, როდესაც დაწესებულებამ არ გადაიხადა პროგრამების დამატების საფასური და აღნიშნულ დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი არ განხორციელებულა, მაგალითად ხელოვნებისა და მეცნიერების საზოგადოებრივმა კოლეჯმა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებმა სულ 125 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგინეს. ავტორიზაციის საბჭომ 28 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას მისცა 95 პროფესიული პროგრამის განხორციელების ნებართვა. აღნიშნული პროგრამები შეესაბამებოდა ავტორიზაციის სტანდარტებს. ძირითადად წარმოდგენილ იქნა ის პროგრამები, რომლებიც დღეს ყველაზე მოთხოვნადია ბაზარზე ბიზნესის ადმინისტრირების, ტურიზმის, მედიცინის, ინფორმაციული ტექნოლოგიის მიმართულებით. ექთნის თანაშემწე, კბილის ტექნიკოსი, ბუღალტერი, სასტუმროს საქმის მწარმოებელი, ინფორმაციული ტექნოლოგი, ოფის მენეჯერი დღესდღეობით რჩება ყველაზე მოთხოვნად და პრესტიჟულ პროფესიებათ.

თვითშეფასების ანგარიშით დამატებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება მოიპოვა ოთხმა ზოგადსაგანმანათლებლო და ოთხმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, შესაბამისად 12 და 13 პროფესიული პროგრამის განხორციელების შესაძლებლობა მიეცათ მათ. უმაღლესებისა და სკოლების

მხრიდან ძირითადად მოხდა იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება, რომლის სასწავლო პრაქტიკის ბაზა აღნიშნულ დაწესებულებებს, თავიანთი მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე უკვე აქვთ. მაგალითად აგრარულმა უნივერსიტეტმა, აგრარული მიმართულებიდან დაიმატა მზარეულის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რისი განხორციელების მატერიალური და ადამიანური რესურსი დაწესებულებას გააჩნდა რეალურად.

ათამდე პროფესიულ დაწესებულებას უარი ეთქვა პროგრამების დამატებაზე, რაც ძირითადად ეფუძნებოდა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზებს. ხარვეზების უმრავლესობა საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის დარღვევით იყო გამოწვეული. ხარვეზები შეეხება იმ სტანდარტებს, რომლებიც პროფესიულ პროგრამაში არსებულ კომპონენტებს შორის საათების განაწილებას მოიცავს. ექსპერტების დასკვნაში ხშირად იყო საუბარი იმაზე, რომ პროფესიული სტუდენტის დატვირთვის სქემაში ხშირ შემთხვევაში პრაქტიკული და თეორიული კომპონენტები არ იყო ნათლად ერთმანეთისაგან გამიჯნული, რაც არ იძლევა შესაძლებლობას დადგინდეს, პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება როგორ მიჯნავს ერთმანეთისაგან თეორიულ სწავლებასა და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას. უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა ითხოვს, რომ პროფესიული სწავლებისას მინიმუმ 40% სტუდენტის დატვირთვა უნდა მოიცავდეს პრაქტიკულ მეცადინეობას. საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან მიმართებით, ხშირად ირღვეოდა კანონმდებლობით დაწესებული მოთხოვნა, რომ პროგრამას ჰქონდეს თანმიმდევრული სტრუქტურა, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, დავინახოთ თუ როგორ არის აგებული სასწავლო კომპონენტების თანმიმდევრობა და ლოგიკური გაგრძელება, რაც სწავლის შედეგების მიღწევის უმნიშვნელოვანესი ასპექტია. პროგრამებში არ ჩანდა, თუ რომელი საგანი ისწავლება, რის შემდეგ, რა თანმიმდევრობით და რა ხანგრძლივობით. ხშირ შემთხვევაში სილაბუსები გაწერილია კვირეების მიხედვით, არ არის მითითებული საათები, ამიტომ ვერ დგინდება პროგრამისა და სილაბუსების თანხვედრა და თანმიმდევრული სტრუქტურა. პრობლემას წარმოადგენს შეფასების სისტემა, შეფასების სისტემა ძირითად ნაწილში თითქმის ყველა სილაბუსში იდენტურია, არ ჩანს საგნის სპეციფიკა. კომპონენტი ”მიმდინარე შეფასება” არ არის ჩაშლილი, არ ჩანს მრავალკომპონენტიან შეფასებაში კონკრეტულად, სწავლების რა ფორმატი და

მეთოდია ნაგულისხმები, პროგრამების სილაბუსებში შეფასება ზოგადია და იდენტური.

პრობლემები შეინიშნება, პროგრამაში არსებულ დაშვების წინაპირობებთან მიმართებით. არ არის მკაფიოდ გამოხატული თუ ვის აქვს, ამ პროგრამაზე სწავლის შესაძლებლობა.

ძალიან მნიშვნელოვანი, პრობლემაა, პროგრამის ხანგრძლივობა. არცერთ საკანონმდებლო აქტში არ არის გაწერილი, თუ რა პერიოდში უნდა ჩაეტეოს, კონკრეტული პროგრამა, კანონმდებლობა მხოლოდ კრედიტისათვის დადგენილ საათების რაოდენობას ითვალისწინებს, რასაც დაწესებულებების ნაწილის მხრიდან, მოყვება ხოლმე სასწავლო წლის ხელოვნული გაწევა, რაც პირდაპირ აზარალებს პროფესიულ სტუდენტს, მიიღოს პროფესიული განათლება ხელმისაწვდომ ვადებში და სწრაფადვე დასაქმდეს.

პროგრამაზე მუშაობის პერიოდში შეინიშნება, პროგრამაზე მომუშავე პერსონალის ჩართულობის ნაკლებობა, უმრავლეს შემთხვევაში პროგრამა შემუშავებულია ერთი პირის მიერ. დაწესებულებების სუსტ წერტილად რჩება განათლების ხარისხის მართვის სისტემა, რაც აუცილებლად საჭიროებს, ეფექტური მექანიზმების დამატებით შემუშავებას. დაწესებულებებს რეალურად არ აქვთ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების ეფექტური სისტემა, რომლის შედეგებსაც გამოიყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ხარვეზები ხშირად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ ადამიანურ რესურსთან დაკავშირებითაც გვხვდება, რაც სტანდარტით დაწესებული დამატებითი მოთხოვნების შეუსრულებლობას უკავშირდება. პედაგოგების მხრიდან არ არის ხოლმე წარმოდგენილი პრაქტიკით მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა დაწესებულებებმა, რომელთაც თანხმობა მიიღეს დამატებითი პროფესიული პროგრამების განხორციელებაზე მნიშვნელოვანი სამუშაო ჩაატარეს ამ ერთი წლის განმავლობაში. პროგრამების შექმნისას გათვალისწინებულ იქნა, ის გამოცდილება, რაც ბოლო ორი წლის განმავლობაში ავტორიზაციის პროცესმა მოიტანა. მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებში დამატება წინა წლებში განსხვავებულად ხდებოდა, მაინც დიდი პრაქტიკა დაგროვდა



ავტორიზაციის პროცესიდან. დაწესებულებების შემოწმები შედეგები, საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაფიქსირებული ხარვეზები აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ოქმში, რაც განთავსებულია ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე. საბჭოს სხდომაზე წარმართული კამათი, გამოთქმული მოსაზრებები, სწორედ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწას და მასზე მუშაობისას ხარვეზების აღმოხვარს ემსახურება. საგანმანათლებლო დაწესებულებებს ამ მასალების გაცნობით რეალური ინფორმაცია ჰქონდათ, თუ როგორ წარიმართებოდა ექსპერტების მხრიდან პროგრამების შემოწმება, რადგანაც პროგრამის დამატებისა და ავტორიზაციისას შემოწმების პროცედურები ძალიან ჰგავს ერთმანეთს.

უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან ძალიან მცირე რაოდენობის პროგრამები იქნა წარმოდგენილი დასამატებლად, რაც ნამდვილად კარგ ტენდენციად უნდა ჩაითვალოს. დამატებული პროგრამების უმრავლესობა, ბაზარზეა ორიენტირებული. წარმოდგენილია ძირითადად ის პროგრამები, რომელთან დაკავშირებითაც გამართული მატერილურ-ტექნიკური ბაზა დაწესებულებას გააჩნია.

თვითშეფასების ყოველწლიურ ანგარიშში ასახული ინფორმაციის საფუძველზე, ცენტრმა ორი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების გადამოწმება მოახდინა. მონიტორინგის ჯგუფის მიერ, დაფიქსირდა ხარვეზები, დაწესებულების მხრიდან ავტორიზაციის პირობების შესრულებასთან დაკავშირებით. კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესაბამისად, მათ ხარვეზის გამოსასწორებლად მიეცათ ვადა და ამ დაწესებულებებს ავტორიზაცია არ გააუქმდათ.

ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშების წარმოდგენის შემდეგ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების, ავტორიზაციის ექსპერტებისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლების შეხვედრა გაიმართა, სადაც მოხდა ინფორმაციის გაცვლა. წარმოდგენილ იქნა, გარკვეული რეკომენდაციები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სარეკომენდაციო ფორმის დახვეწასთან დაკავშირებით.

ამ ეტაპისათვის თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე, არ მომხდარა დანარჩენი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გადამოწმება, რომლებსაც არ მოუთხოვიათ პროგრამების დამატება. მათ უმრავლესობას შეადგენს, ის დაწესებულებები, რომელთაც საქმიანობის განხორციელების გაგრძელების მიზნით ავტორიზაცია უნდა გაიარონ 2013-2014 სასწავლო წლის დაწყებამდე.

ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი კონსტანტინე ჩოკორაია